ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 122. კვირა, 3 ოქტომბერი 1910 წ. დამატების № 21

ზემოდგომის ყვავილები.

ლ ა ნ დ ი ა

დრამატიული თხზულება ოთხ ნაწილად.

(შემდეგი *)

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

სამუშაოდ მოწყობილი ოთახი. მარცხნივ ერთი კარი. წინაც ერთი კარი, ორი ფანჯარა, სიდანაც უხვათ შემოდის დღისა ნათელი, კედელზე ჰკიდია სხვა და სხვა სურათი. სტოლებზე და თაროებზე აწყვიან პატარა ქანდაკებანი ძველ ელლინურ ღმერთებისა და გმირებისა. აქეთ-იქით აწყვიან ყალიბები, სამუშაო იარაღი და სხვა. ერთ-მხარეზე კი ამართულა კარგა მოზრდილი ქანდაკება, ჯერ დამთავრებული არაა, არც გასაოცარი ხელობისაა. იგი არის სურათი იმ ძაძით მოსილისა, რომელიც ოდესღაც მოევლინა ლანდიას კედლისა ნაპრალზე.

ლანდია თეთრ ხალათში ერთგულად მუშაობს ქანდაკებაზე, მას ეტყობა ცოტა ქედი მოუხრია ცხოვრების წინაშე; იმის სახეზე აღარა კრთის ჭაბუკური გატაცება, გიჟმაჟობა, თავდავიწყება. ეტყობა, რომ ჩაუხედია ცხოვრების სიღრმეში, თუმცა ბოლომდის კი არა. ეტყობა, რომ ისე მაღლა, არწივისებურად, აღარ იყურება ოცნებათა სამფლობელოში, თუმცა სავსებით არ მოუშორებია თვალი, რადგან იგი მაინც ისევ იქ ჰპოვებს უმაღლეს სიტკბოებას, იმედს, მომავალს.

კარგა ხანს ეგრე მუშაობს ჩუმად. იმის გვერდზეც ჩუმად, წყნარად დასტრიალობს მის მეგობარი.

ლ ა ნ დ ი ა

სადა ხარ დაფარული სახევ, რასაც დაგეძებ ჩემის ოცნებით და წარმოდგენით! სად გამოგვკვეთო სინაზევ, მგრძნობიერობავ, რომ ეს სახე, ეს ცივი ქვა განვაცხოველო!

ნეტავ ვიცოდე, თუ რომელი წამი მახარებს ჩემს ნეტარებას! — ნეტა ვიცოდე რა საჭრეთელი ხორცსა შეასხავს ჩემსა ოცნებას!

ახლოა? შორს არის? — ჯერ თითქოს არ სჩანს!

ვიპოვი თუ ვერა? ეს კითხვა მე მკლავს.

ი დ უ მ ა ლ ი ხ მ ე ბ ი

ეძებე!—იპოვი!
ესწრაფე!—მიაღწევ!
ეძებე!—იპოვი!
ესწრაფე—მიაღწევ!

მ ე გ ო ბ ა რ ი

ნელა ხითხითებს.

ხე-ხე-ხე! ხე-ხე-ხე!

„ეძებე!—იპოვი! ესწრაფე!—მიაღწევ!“ მერე შენ გჯერა ეს სიტყვები, როგორც სიმართლე? გჯერა? გჯერა?—აბა მითხარი!

ლ ა ნ დ ი ა

წამოდგება და შესძახებს მტკიცე ხმით.

მჯერა! მჯერა!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 20.

მ ე გ ო ბ ა რ ი

ჯერ ჩაიხედე გულის სიღრმეში, შემდეგ მითხარი! იქნებ არ გჯერა!

ლ ა ნ დ ი ა

რომ არ მჯეროდეს, როგორღა შევსძლებ მაშინ სიცოცხლეს, სინათლის ცქერას?!

მანუელ მეფე. პორტუგალიისა.

ისევ დაიწყებს მუშაობას გატაცებული. მთელის უნარით ქანდაკების სახეს ამშვენებს. რამდენიმე ხანს მუშაობას ჩუმად აგრძელებს; ერთბაშად წამოხტება გახარებული.

ვიპოვე სევდა, მის თვალებში გამოხატული! ვგრძნობ — გავიმარჯვებ, გულს მენთება სიცოცხლის ალი!

სიხარულით მუშაობას თავს გაანებებს. ჭსურს სხვა რამეზე გამოჰხატოს კმაყოფილება.

შემოდის ტურფა. ყვავილები მკერდს უმშვენებენ. ის აღარ არის ისე ნაზი, თვალთა-წარმტაცი, როცა პირველად მოევლინა ლანდიას თვალებს. ეტყობა — მინდვრის ცელქი ჩიტუნა ოჯახის ქალად გადაქცეულა და ქანწყლობის სხივებით მკრთომი დედობისათვის დამზადებულა.

ტ უ რ ფ ა

კიდევ მუშაობ? არ დაისვენებ?

ლ ა ნ დ ი ა

აჰ, ჩემო ტურფავ! მე დავისვენებ, როცა მივაღწევ ჩემ-გულისწადილს. გაშლილსა ზღვაში, [illegible]მარად მღელვარში ვით დაისვენებს ცხოვრების ნავი, ვიდრე სანატრელ ხმელეთს არ მივა. იქ დაისვენებს მხოლოდ მშვიდობით.

მოდი აქ დაჯექ, დამატკბე ცქერით! კვალად აღმიგზნე გულში სიამე და მომაგონე წარსულნი დღენი, როცა სინაზით მტყორცნე ია მე.

ნაზად დაისვამს მუხლებზე ტურფას და ყურადღებით შეაჩერდება. მის სახე უფრო ფიქრებსა ჰხატავს ვიდრე ტკბილ გრძნობებს სიყვარულისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ უ რ ფ ა

რად მომაჩერდი? მითხარი რამე! რატომ არა სჩქეფს წინანდებრ გრძნობა, რომ შენც სტკბებოდე თავდავიწყებით და მეც სიამით თავბრუს მახვევდე?

ლ ა ნ დ ი ა

რატომ წინანდებრ ვერა ჰკითხულობ ჩემ სიჩუმეში ჩემ გულის პასუხს.

ტ უ რ ფ ა

სიჩუმით მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც გრძნობა დაგუბებულა და ენა მძლავრი თვის მეტყველებით ამ ზღვა გრძნობათ წინ დასუსტებულა.

ეხლა ჩვენ გრძნობებს გზა გახსნილი აქვთ გულიდან გულში გადმოსაჩქეფად, მაშ მითხარ რამე! კვლავ გამაგონე, კიდევ გიყვარვარ და გეყვარები?

მ ე გ ო ბ ა რ ი

შენც სტკბი, მასაც ატკბებ! არ გეკადრება ლანდიავ! წელან შენ ჩუმად სჩიოდი, რომ დასჭკნა სილამაზეო, ალარ დამაფრენს მსუბუქად ოცნების მაღალ მთაზეო! ან წელან იყავ ფხიზელი, ეხლა კი დათვერ ტრფობითა ან მატკბებდი მეგობარს, გსურდა აგება თვალები, მაგრამ იცოდე სჯობიან თვით სატრფოს მოტკბილება, ვიდრე დაჰფარო ჩემ თვალთ წინ შენ გულის ჭეშმარიტება.

ლ ა ნ დ ი ა

გამშორდი! სატრფო ღირსია ქებისა, ნაზად ხვევნისა! რა ვქნათ თუ უწინდებურად ალარ მაგიჟებს ტრფობითა, მაინც მე ბედნიერი ვარ. მას არ ვახსენებ გმობითა.

ტ უ რ ფ ა

ვისთან ბაასობ? ნეტავ რას ფიქრობ?

ჰემონი თავს იკლავს ანტიგონის გვამთან
სურათი გემარდისა.

ლ ა ნ დ ი ა

სადაც მარტოდენ ორი გულია, იქ მხოლოდ ერთი გრძნობა ბატონობს. ერთი სურვილათ, ერთი წყურვილით ორთავე ერთად შეკონილია. თუ შენ გიყვარვარ, მაშ მეც მიყვარხარ და აქ შეკითხვა რა საჭიროა?

ტ უ რ ფ ა

მიყვარხარ, გიყვარვარ!
მიტინი, გიტინი!

ერთ მთვარეს ვუყურებთ, ერთ მზეს შევხარით, ორივე ვსტკბებით ერთ ვარსკვლავი ციმციმით.

ლ ა ნ დ ი ა

ისევ ტურფა ხარ და მომხიბლავი. შენზე ცუდს იტყვის თუ ენა-ავი, სხვა ვინ გაჰბედავს, ვინ შემოგკადრებს— თითქოს შენ იყო უკვე დამჭკნარი.

ლ ა ნ დ ი ა

შენ გეხვევიან ჩემი ფიქრები, შენთანვე ტრფობით მიფეთქავს გული.

ტ უ რ ფ ა

ოჰ, ჩემო მზეო, რა მიხარია! ჩქარა სიცოცხლე შეგვემატება. ახალი ტირილი, ახალი სიცილი შემოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში. სხვა სიხარული, ბედნიერება მიემატება, ჩვენს ნეტარებას.

ტიტინსა, ჭიკჭიკსა როცა დაიწყებს, ჰატარა ხელებს რომ მოგიცაცუნებს, ოჰ, რა ძლიერად ჩაიკრავ გულში, თითქოს გინდოდეს ჩაისვა სულში.

„მამილო! დედილო!“ რომ დაიძახებს, ეს ახალი ხმა გულში ჩაგვწვდება და ორთავესთვის ეს ხმა ახალი მომხიბლავ, წარმტაც ჰანგად გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ გენატრება, ჩქარა დაგვიდგეს ეგ სიხარული, ეგ ნეტარება? ჩემის ტკბილ გრძნობით შენსა სახეზე რატომ სიამე არ იხატაბა?

ლ ა ნ დ ი ა

სხვაგან გაფრინდენ ჩემი ფიქრები, ოჰ, მაპატიე ჩემო ღვთაებავ!

ტ უ რ ფ ა

მე აქ ვნეტარობ, შენ კი სხვაგან ხარ, კალთას გიზივარ—შენ სხვას უცქერი. ეგ არ შეჰფერის ერთგულსა სატრფოს, მაგით გულს მატკენ და ეჭმაწყევინებ.

მ ე გ ო ბ ა რ ი

როდესაც გთხოვენ, რომ მიაპყრო ტრფობით თვალები, სჩანს სიყვარულის ცეცხლი ისე აღარ გიზგიზობს. სჩანს რომ დამჭკნარა სილამაზე ნაზ—მომხიბლავი და ვერ იზიდავს თვალთა მწყურვალთ წარმტაცობისა.

ლ ა ნ დ ი ა

ნუ გეწყინება! სამაგიეროდ მე დაგიკოცნი თვალებსა გრძნობით და ამ კოცნაში სიამეთ ვაქცევ გულში შეპარულ შენ ჭმუნვარებას.

გრძნობით ეხვევა, უკოცნის თვალებს, და ტურფას ამით კვლავ გაახარებს.

ტ უ რ ფ ა

ხანგამოშვებით, ცუდ გუნებაზე დამბერავს ხოლმე მე ეპვის ქარი; ასე მგონია აღარ გიყვარვარ და აღარ გათბობს ჩემ ტრფობის ალი; მაგრამ როდესაც ეგრე დამკოცნი გრძნობით, სინაზით და აღტაცებით, ეპვი მიქრება და ტკბილი გრძნობა იმედით გულში კვლავ მენერგება.

როს დაგინახე, მომაჯადოვე, უხილავ გრძნობით შემბოჭე წამსვე, უმანკო გულში ცეცხლი ჩამიგდე, კოკორი გრძნობა წამს ააყვავე...

ნაზის ფაქტით და სიკეკლუცით ეხვევა, ჭოტნის თვალებიწყებით.

ლ ა ნ დ ი ა

შენ მომხიბლავ მკერდს როგორ უხდება ეს კოხტა ვარდიც ნაზად ფურჩქვნილი.

შენ მკერდზე ვფიქრობ, ჰოი წარმტაცო, ვარდი არას დროს უნდა სჭკნებოდეს და თვით დამჭკნარი, ვით ციურ ნამით, ახალად უნდა იფურჩქნებოდეს.

მ ე გ ო ბ ა რ ი

ოდესღაც ტურფა თვით ამშვენებდა ნაზ ყვავილებით 'შემკულსა ველსა. ვარდიც ზამბახიც თვითვე ის იყო, სიამით ყველას ეყნოსებოდა. ეხლა კი... ეხლა...

ტ უ რ ფ ა

მაგ ვარდის ფერი საკაბე ვნახე, როცა ქუჩაში მოვსეირნობდი, რა მომეწონა, რა მომეწონა! ნეტავ მიყიდდე, ფულები თუ გაქვს.

ლ ა ნ დ ი ა

ჩქარა მექნება, ან დღეს ან ხვალე და შეგისრულებ მაგ მცირე წადილს.

ტ უ რ ფ ა

მადლობელი ვარ! ვხედავ გიყვარვარ! ვერ დავაფასებ შენს ძლიერ გრძნობას!

ბევრის ლაქუცით საქმეს მოგაცდენ! მშვიდობით იყავ შემდეგ ნახვამდის.

მაგრათ ჩაჭოტნის და კადის მარცხნივ.

მ ე გ ო ბ ა რ ი

ჰა-ჰა-ჰა!

თვით ლანდიას რომ არ ეცინება, გასაკვირია, საოცარია! ცას ფრენის ნაცვლათ მოვალე არის, რომ იოცნებოს სატრფოს კაბაზე.

ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!..

ლ ა ნ დ ი ა

თუ სილამაზემ დაჰკარგა ფერი, ნაზი ფურცლები ძირს ჩამოსცვივდენ, ცხოვრების ქარმა შემოუქროლა უგზო უკვალოდ გააქრო ქვეყნად, ეს არც თუ ისე სამწუხაროა, რადგან დანაკლისს ჩქარა შემივსებს სხვა ტკბილი გრძნობა და სიხარული.

შვილის პატრონი გავხდები ჩქარა! რა საამოა ეს მოლოდინი. ასე მგონია ჩემს ცხოვრებაში სულ ახალი მზე ამოდიოდეს და სილამაზის ფერმკრთალსა სხივებს ახალი შუქი ეფინებოდეს.

მიდის ქანდაკებასთან და გულ დადებით შეუდგება კვლავ მუშაობას სიხუმე, სიწყნარე ჩამოგვარდება.

მ ე გ ო ბ ა რ ი

სად მიჰქრას, სად მორბის ცხოვრება უცნობი?

უკვალოდ, უმიზნოდ სად მიესწრაფვის ხან თეთრი რაშით და ხან კი შავით?

ლევ. მეტრეველი.

შემდეგი იქნება

ოქტომბრის 15 რიცხვამდე გამოვა

გამოცემა
მიხეილ ნემსაძისა
ფასი 10 კაპეიკი.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხონელულაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე", ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3